სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

20 აგვისტო, 2024 წელი

ბრძანება №01-02/142

2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის **(ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდის) ვადების განსაზღვრის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის №19 დადგენილების, ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის", ,,ბსუ-ს 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის №06-01/50 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. **2024-2025** სასწავლო წლის **შემოდგომის სემესტრისათვის** განისაზღვროს ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა **ადმინისტრაციული რეგისტრაციის** (სწავლის სემესტრული საფასურის გადახდის) **შემდეგი ვადები:**

ა) I ეტაპზე - 2024 წლის **15** სექტემბრიდან **7 ოქტომბრის ჩათვლით** - სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ **40% (**შენიშვნა: პირადი განცხადების საფუძველზე **სტატუსშეჩერებული სტუდენტის სასწავლო პროცესში დაბრუნების** შესახებ განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს და **სწავლის საფასური გადახდილი,** 2024 წლის 23 სექტემბრიდან (სემესტრის დაწყება) 15 დღის ვადაში - 2024 წლის 07 ოქტომბრის ჩათვლით);

ბ) II ეტაპზე – 2024 წლის **15 ნოემბრის ჩათვლით** - სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ **30%;**

გ) III ეტაპზე – 2024 წლის **25 დეკემბრის ჩათვლით -** სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ **30%.**

2. ბსუ-ს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირებმა (შემდეგში - **პირველსემესტრელებმა) უნდა გადაიხადონ:**

2.1. <u>პირველი საფეხურის/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიან/დაწყებითი განათლების მასწავლებლის საბაკალავრო-სამაგისტრო/მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)/ქართულ ენაში მომზადების</u> საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე <u>სამაგისტრო</u> პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულმა პირებმა რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში, ბსუ-სთან ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა გადაიხადონ:

ა) I ეტაპზე - არანაკლებ 800 ლარი;

ბ) II ეტაპზე (2024 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით) **და III ეტაპზე** (2024 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით) - სემესტრული სწავლის საფასურის **დარჩენილი** (გადაუხდელი) **ნაწილი, თანაბარწილად;**

2.2. **სადოქტორო პროგრამებზე** ჩარიცხვის უფლებამოპოვებულმა პირებმა რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში, ბსუ-სთან ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა გადაიხადონ:

ა) I ეტაპზე - ბსუ-ში ჩარიცხვისათვის რეგისტრაციის და ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე - **არანაკლებ 1000 ლარი;**

ბ) II ეტაპზე (2024 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით) **და III ეტაპზე** (2024 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით) - სემესტრული სწავლის საფასურის **დარჩენილი** (გადაუხდელი) **ნაწილი, თანაბარწილად.**

3. წინამდებარე ბრძანება ეცნობოს ბსუ-ს სტუდენტებს ბსუ-ს პორტალის მეშვეობით.
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: „აკადემიური კალენდარი“ და „რექტორის აქტები“), ასევე ბსუ-ს პორტალზე და ბსუ-ს სოციალურ ქსელში.
5. ბრძანება დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს (მათ შორის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს), სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და ფაკულტეტებს.
6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.
7. ბრძანება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი **მერაბ ხალვაში**